



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030464602829813

KA030464602829813

№ 04-220/ო

26 / აპრილი / 2013 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მიმწოდებლებთან ანგარიშგების ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისა და სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 12 აპრილის N04-186/ო ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით (შემდგომში–დადგენილება) დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ (დანართი 1.10) მიმწოდებელთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით და მათთან ანგარიშგების ზოგიერთი საკითხის დაზუსტების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ (დანართი 1.10) მე–4 მუხლის მე–5 პუნქტის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე–4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დადგენილებით განსაზღვრული „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ (დანართი 1.10) ფარგლებში დამტკიცდეს:

ა) მომსახურების გაწევის თაობაზე კონკრეტული მოსარგებლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ამ მომსახურების მიმწოდებლის ინფორმირების ფორმა – (დანართი N1 – იგზავნება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულიდან მიმწოდებელთან და სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში).

ბ) მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმები (დანართი N2 – იგზავნება მიმწოდებლისაგან სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით; დანართი N3 – იგზავნება მიმწოდებლისაგან სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, საანგარიშო პერიოდის სრული, დაზუსტებული ინფორმაცია ყოველი შემდეგი თვის 15 რიცხვის ჩათვლით).

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმებით მიმწოდებლისაგან მიღებული ინფორმაცია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარმოდგენილ უნდა იქნეს დოკუმენტური ფორმით (როგორც დოკუმენტრუნვის სისტემის (დეს), ისე ელექტრონული პროგრამა “child“-ის საშუალებით), მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში.

3. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (ვ. გაზდელიანი) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებისა და „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.
4. სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულებმა უზრუნველყონ მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციათა ინფორმირება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმების და ინფორმაციის მოწოდების პირობების თაობაზე.
5. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს (მ.მაჭავარიანი).
7. ეს ბრძანება შესაბამისი დანართებით ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 12 აპრილის N04-186/ო ბრძანება (შესაბამის დანართებით).

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

